



# ახალი განათლება

2014 წელი, 2-8 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№28 (662) გამოსვლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



## ეროვნული გამოსვლების მოღვაწე – სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთა თუ უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის გზა

მაია მიმინოშვილი:

„10 წელია გვიძირავს ეს სისტემა, ყოველთვის გამართული იყო და ვცდილობთ ასე შევინარჩუნოთ ბოლომდე. ამას გაურკვეველ ვითარებაში ვახეობთ. ჩვენთვისაც კარგი იქნება, თუ ნათლად და მკაფიოდ გვეცოდინება, რა არის საზოგადოების დაკვეთა და ვაკეთოთ ის, რაც უმრავლესობას უნდა და არა ის, რაც ჩვენ მიგვაჩენი მისაღებად. ისე არ გამოვიდეს, რომ ეს ცენტრი მართლაც ქარის წისქვილებს ებრძვის.“

გვერდი 4-5

**ვიქტორინა ბრძელდება „ნაიკითხა, უკასუხა და დასვი კითხვა“**

გვერდი 2

**მიმდინარეობს სელმონარი**

**მასწავლებლის გიგლიოთეკა**

	3 ლარი		5.50 ლარი		5.50 ლარი
	6 ლარი		3 ლარი		6 ლარი

ასოციაციამ „ზეპარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის გიგლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეორე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფმა სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეძღოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში.

ასოციაციამ „ზეპარმა“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძინა რეგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის გიგლიოთეკებისთვის. შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით:

599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

გვერდი 2



CMYK

### აუგ-ს მშვიდობის კორპუსის საქართველოში ინვეს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თოთხმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2015-2017 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **ქახეთი** (დუბის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), **მცხეთა-მთიანეთი** (ყაზაგის გარდა), **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო** (ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ზუგდიდის გარდა), **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი**. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქებს, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ატვირთვით დაზარალებულ რეგიონებში.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხარჯება 26 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთან თანამშრომლობით 2015-2017 აკადემიურ წლებში, გაცხადეთ საინფორმაციო დანართს და დაიტვირთეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განცხადება (ქართულ ენაზე) და ფორმაში მოგვანდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29<sup>ა</sup>, თბილისი, 0160 ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე [education@ge.peacecorps.gov](mailto:education@ge.peacecorps.gov)

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანგებო განყოფილებაში რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმის ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან:

<http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/931#overlay-context=user>

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 20 ოქტომბერი, 2014 წელი.

**დაგატვირთეთ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს:**  
ასმათ სიხარულიძეს (ადმინისტრაციის) ან თეო ნეფარიძეს (დასავლეთი),  
ტელეფონი: (0 32) 224 12 24, ფაქსი: (032) 239 91 06

### მასწავლებლის გიგლითიკა

#### მასწავლებლის საშუალო რეპუტაცია

მასწავლებლის საშუალო რეპუტაციის პროტოკოლით განუყოფელი ნაწილია. რეპუტაციის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:  
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;  
2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;  
3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

#### მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

#### დაგეგმვის პროტოკოლი

**დაგეგმვის პროტოკოლი** საშუალებას აძლევს დაგეგმვას აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებლის საქმიანობები. გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პროტოკოლი შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დაგეგმვას პროტოკოლით წარმოებაში და დაგეგმვის საქმიანობის განხორციელებაში.

#### ინტერაქტიული მეთოდების ქრებულები

ქრებულები აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნაჩვენებია ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. ქრებულები თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

#### მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** ავსებულია კითხვა-პასუხის კონცეფციისა და მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებსა და წინა დანახარებს მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაქტორების სტუდენტებს.

#### კათედრის გაგების პროტოკოლი

**კათედრის გაგების პროტოკოლი** საშუალებას აძლევს კათედრის გაგებას აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პროტოკოლი შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პროტოკოლით წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

### ინტელექტუალური ვიქტორინა

# „წაიკითხე, უკანსუხე და დასვი კითხვა“ გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სკორტის ეროვნული ფედერაცია“ აგრძელებს ვიქტორინას „წაიკითხე, უკანსუხე და დასვი კითხვა“.

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო,

ამჯერად შემოთავაზებული იყო გიორგი ლომიძის საინტერესო მოთხრობა „გუნდულა“.

- მაუ ასე, საქართველოს სასკოლო სკორტის ეროვნული ფედერაცია გთავაზობთ ვიქტორინას გიორგი ლომიძის ნაწარმოებიდან „გუნდულა“:
- 1. ვინ იყო გუნდულა?
- 2. რისი თქმა არ დაავიწყდებოდა სიტყვის თქმისას გუნდულას?
- 3. დალაქის აზრით, სიგიჟით მოგებული რასთან არაფერი იყო?
- 4. რამდენი შვილი ჰყავდა გუნდულას?
- 5. რატომ უწუნებდა გუნდულა პოლიტიკოსებს საქმიანობას?
- 6. რომელია ისტორიულმა მოვლენამ გამოიწვია გუნდულას ცვლილება?
- 7. საწყალ დალაქს გულწრფელად რისი სჯეროდა?
- 8. სიბრთლისა და მშვიდობის მაკივალე დალაქი რით იყო გაოცებული?
- 9. ავტორის ბიძასთან ღვინის სმისას რა თქვა გუნდულამ, რატომ წავიდა ქალაქში?
- 10. იყო კაცი თანამოგონს და გარემოებას ნაკაცარი გახდა. მერა რისთვის?

აღვსოვით გასწავლეთ, რომ ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს – **კონკურსანტი სკოლის მონაწილე უნდა იყოს**. ხოლო პასუხი შეკითხვებზე გამოგვიგზავნეთ მისამართზე – [viqtorina.ssef@gmail.com](mailto:viqtorina.ssef@gmail.com)


როგორც წინათ, ახლაც, პასუხები გარდა, მონაწილეს შეუძლია, თავადაც დასვას ნაწარმოებიდან გამოგონილი კითხვები „რა? სად? როდის“ ფორმატში.

თუ „რა? სად? როდის?“ ფორმატთან დაკავშირებული შეკითხვა გაგიჩნდათ, დასახელებულ ინფორმაციას შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე: <http://www.gametv.ge/> „გამოგვიგზავნე კითხვა“; „10 რჩევა ავტორებისათვის“, რომელიც სახელმძღვანელოდ შეიქმნა გამოიყენოთ.

შეგახსენებთ, რომ პროექტის პარტნიორები არიან:

- ❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული გიგლითიკის გენერალური დირექტორი, პოეტი, ესეისტი **გიორგი ქაქელიძე**;
- ❖ საინფორმაციო მხარდაჭერის გაზეთი „ახალი განათლება“, გაზეთის რედაქტორი – **მარიკა ჩიქოვანი**;
- ❖ სატელევიზიო გადაცემა „რა? სად? როდის?“;
- ❖ „საქართველოს ოლიმპიური კლუბი“, პრეზიდენტი – **კახი კახიაშვილი**.

## გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სკორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას ბისურვებთ



# განათლების ეროვნული პოლიტიკა და სახიფათო ტენდენციები

## ანა ფირცხალაიშვილი

„ფონტაინი ჯორჯია“ კლუბი და უფროსი „ლიბერალი“, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აგრძელებს დისკუსიას ერთობლივი პროექტის „დისკუსიები ბავშვთა უფლებების თემაზე“ ფარგლებში. ამჯერად მსჯელობა გაიმართა განათლების პრიორიტეტულობის, არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და განათლების ეროვნული პოლიტიკის შემუშავების საჭიროების შესახებ. მომხსენებლები იყვნენ: **ნათია მყავანაძე** – გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი; **სიმონ ჯანაშია** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; **მაია ყუფარაძე** – UNICEF-ის განათლების მიმართულების ხელმძღვანელი.

პირველმა მომხსენებელმა, **ნათია მყავანაძე** აუდიტორიას გააცნო 2009 წელს საქართველოში ჩატარებული მოსწავლეთა საერთაშორისო კვლევის ძირითადი ტენდენციები და აღნიშნა, რომ PISA-ს მეშვეობით მოპოვებული მონაცემების შესწავლა და გათვალისწინება აუცილებელია სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისას. 2009 წელთან შედარებით, 2011 წელს ჩატარებული კვლევებით მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება როგორც წერა-კითხვისა და მათემატიკის, ასევე საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნისა და მათი გამოყენებისათვის საჭირო უნარების გამოვლენის თვალსაზრისით. „საერთაშორისო კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განათლების პოლიტიკის შემუშავებელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც ასახავს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, ქალაქისა და სოფლის, კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიღწევების დონებს. ზოგადად, დინამიკა პოზიტიურია, მაგრამ ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტს. 2012 წელს საქართველომ უარი თქვა კვლევებში მონაწილეობაზე. წინაა 2015-16 წლის კვლევა, რომლის შედეგები საინტერესო და გასათვალისწინებელი უნდა იყოს არა მარტო ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისას, არამედ მისი ანალიზი აუცილებლად ნაადგებათ პედაგოგებს, დირექტორებსა და მშობლებს. სამუხაროდ, გადამწყვეტილების მიმღებ პირებს კვლევების მიმართ არ აქვთ სათანადო დამოკიდებულება.“ – აღნიშნა ქალბატონმა მაიამ.

დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სიკო ჯანაშია არ არის გადამწყვეტილების მიმდებარე შორის, მაგრამ არც მას მიაჩნია საერთაშორისო კვლევა და მისი შედეგები იმ უტყუარ ინფორმაციად, რომელიც შესაძლოა, საფუძვლად დაედოს განათლების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტს. თუმცა, მისი აზრით არც ასეთი სახის დოკუმენტის არსებობა აუცილებელი იმისთვის, რომ ქვეყანაში განათლების ხარისხი გაუმჯობესდეს.

**სიკო ჯანაშია:** „მინდა, კრიტიკულად შევხედოთ იმას, თუ რამდენად შეიძლება საერთაშორისო კვლევების შედეგები გამოვიყენოთ განათლების პოლიტიკის დასაგეგმად. რა შეიძლება იყოს გამოყენების უარყოფითი შედეგი? ცნობილია, რომ ამ კვლევების შედეგების გამოყენება პოლიტიკის მიმღებებს სჭირდებათ იმის დასასაბუთებლად, რომ მათი გადაწყვეტილებები ეყრდნობა და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, თუმცა რეალურად არარსებულს. ეს ძალიან სახიფათო ტენდენციაა, რადგან ინერგება წარმოდგენა, რომ არსებობს უნივერსალური განათლება და არა ეროვნული ინტერესი (და საჭიროებები) განათლების მიმართ, რომ ყველა ერს უნდა ჰქონდეს საერთო განათლების ტიპი და რომ არსებობს სტანდარტული ცოდნა, რომელიც სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის და რომლის საფუძველზეც არა მარტო მოსწავლეები, არამედ მათი მშობლებიც შეეჯიბებიან ერთმანეთს. როცა ვამბობ, რომ კვლევებს აქვს უარყოფითი კონტექსტი, ვგულისხმობ რეიტინგს, რომელიც გვეუბნება, რომელ ადგილს იკავებს საქართველო მსოფლიოში. ვიცით, რომ ჩვენი მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო საშუალო ქულებზე დაბალია, თუმცა, თუ დავეუკვირდებით სინამდვილეში ეს ასე არ არის და რატომ. მსოფლიოში სულ 195 ქვეყანაა. აქედან კვლევებში 40 ან 50 მონაწილეობს და როცა ვსაუბრობთ საშუალო ქულების შესახებ ჩვენთან მიმართებით, რეალურად ეს არის არა საერთაშორისო საშუალო, არამედ კვლევებში მონაწილე ქვეყნების საშუალო. აქ საუბარია კონკრეტულ ქვეყნებზე, რომლებიც ადგენენ ტესტებსაც და იმ საშუალოსაც. ძირითადად, ეს არის დასავლეთ ევროპისა და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები – აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა.შ. ზოგი ქვეყანა მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობს. მაგალითად, საქართველომაც რომ ისე მიიღოს მონაწილეობა, როგორც ჩინეთმა (მხოლოდ მანხაი მონაწილეობს), ბუნებრივია, უკეთესი შედეგი გვექნებოდა. ასე რომ, ეს კვლევები ძალიან ადვილად მანიპულირებადი იქნებიან გამომდინარე, თუ რა პოლიტიკური ინტერესი აქვს ქვეყანას, პოლიტიკური ინტერესი კი სულ უფრო და უფრო ებმება კვლევებს იმის გამო, რომ სწორედ ამ შედეგებს იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციები ინდიკატორებად სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პროგრამების დაფინანსების შესახებ გადამწყვეტილების მიღებისას ან რაიმე პროექტის დაწყებისას. რეალურად კი ამ დროს, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი საჭიროება იყოს არა, ვთქვათ, მათემატიკაში რაიმე კონკრეტული საკითხის სწავლება, არამედ ვასწავლოთ მოქალაქეს, როგორ ჩადგეს რიგში. აქედან გამომდინარე და ამის გათვალისწინებით უნდა ვზომავდეთ ჩვენს წარმატებას და არა ისე, როგორც ზოგჯერ პონკონგში და ფინეთში, სადაც სულ

სხვა საჭიროებები აქვთ. მიუხედავად ამისა მიმაჩნია, რომ ეს მონაცემები ღირებულია იმ ტენდენციის დასახად, რაც ქვეყნის შიგნით არის, თუმცა არ ასახავს სრულ და რეალურ სურათს. სწორედ ამიტომ მასზე აქცენტის გაკეთება ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესი გადავა არა ცვლილებების განხორციელებაზე, არამედ საკუთარი რეიტინგის გაუმჯობესებაზე საერთო ნიშნით, რაც ძალიან მარტივია, თუ იცი როგორ ტარდება ეს კვლევები.

რაც შეეხება კვლევის საჭიროებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად, საქმე ისაა, რომ უმრავლესობის წარმოდგენაში პოლიტიკის ფორმირების რაციონალური მოდელი ასეთია – პირველ რიგში, გამჩნევთ პრობლემას და ვგეგმავთ მისი მოგვარების გზებს, შემდეგ ვამოწმებთ მიმდინარე შედეგებს, ვხევენთ და შეგვაქვს კორექტივები, ბოლოს კი ვაფასებთ მიღწეულ შედეგს. შესწავლილი და დადგენილია, რომ არსად პოლიტიკის დაგეგმვა ასეთი რაციონალური გზით არ ხდება. არაერთი თეორია არსებობს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების თაობაზე. ერთ-ერთი მისხედით, ფორმირება დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ კოალიციებზე, ინტერესთა ჯგუფებზე, რომლებიც, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საკითხების გადამწყვეტისას ერთიანდებიან და თანხმდებიან. ცალკე აღებული კვლევა (შედეგი) ან წამოჭრილი პრობლემა, თუნდაც ახალი ვითარება, ვერ გამოიწვევს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ საზოგადოებაში იქნება მზაობა ყველა ამ მიმართულების მიმართ ან გადაიკვეთება სხვადასხვა შეხედულებების მქონე ჯგუფების ინტერესები.

საბოლოოდ ისევ ვავიშვებ, კარგია, რომ მონაცემები არსებობს, მაგრამ ეს ვერ იქნება იმის განმსაზღვრელი, როგორი იყოს განათლების სისტემა. ვერც ერთი კვლევა ვერ იქნება პოლიტიკის საფუძველი იმიტომ, რომ პოლიტიკა არ იწყება პრობლემის აღმოჩენით, ის ქაოსურად არსებობს მისი აღმოჩენის მიუხედავად. ეს ქაოსი კი შეიძლება იყოს მართვადი, თუ შევხედავთ სხვადასხვა თეორიის ჭრილში, რომელთა გაცნობითაც მივხვდებით, რომ ნაკლები მოლოდინი უნდა გვქონდეს ისეთი მთავრობის არსებობის, რომელიც დაგეგმავს მომდევნო, 10 ან 20 წლის ნაბიჯებს, რომელიც აუცილებლად გადაიდგმება და ყველა მას გაჰყვება, რაღაც პერიოდულობით გვექნება ამ ნაბიჯების განხილვა და გვეცოდინება, რომ წინ მივდივართ. ასეთი რამ მსოფლიოში არ არსებობს, შესაბამისად, არც საქართველოშია საჭირო.“

**მაია ყუფარაძე:** „ვფიქრობ, რომ საერთაშორისო კვლევების შედეგები, მიუხედავად მისდამი კონკრეტული დამოკიდებულებისა, ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც ყურადსაღები ინფორმაციის

შემცველია, თუმცა, მიმაჩნია, შიდა, ეროვნული კვლევა სრული სურათის შესაქმნელად, აუცილებელია. განათლების პოლიტიკის შემუშავების მსურველებმა და გადამწყვეტილების მიმღებებმა ეს უნდა გაითვალისწინონ. დღეისათვის, ძალიან ხშირად, სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას, აპელირებას სწორედ საერთაშორისო კვლევებზე ვაკეთებთ, თუმცა ვგაქვს, ასევე ხშირად, პარტნიორული პროგრამები, რომელთა განხორციელება გვეხმარება გავარკვიოთ, რა ცვლილება მოიტანა ამა თუ იმ ინიციატივამ, რაც შესაძლოა, პოლიტიკის შემადგენელიც იყოს. მინდა აღვნიშნო, რომ ვიზიარებთ საერთაშორისო ხედვებს და მექანიზმებს კვლევების ჩატარების დროს, როგორც ჩვენი და სხვა ქვეყნების განათლების სისტემების შეფასების უნივერსალურ ინსტრუმენტს. თუმცა, არის საკითხები, რომელთა განაალიზება გვაფიქრებინებს, რომ ზუსტი სურათის მისაღებად შიდა კვლევა საჭირო. მაგალითად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, ნიგნიერების კვლევას მოვიყვან. იუნესკოს დეფინიციის მიხედვით, ნიგნიერება არის „სხვადასხვა კონტექსტებთან ასოცირებული ბეჭდვითი და წერილობითი მასალის აღქმის, გაგების, ინტერპრეტირების, შექმნის, გადაცემის, გამოთვლის და გამოყენების შესაძლებლობა. ნიგნიერება მოიცავს უწყვეტ სწავლას, რომელიც ადამიანებს ეხმარება მიზნების მიღწევაში, ცოდნისა და პოტენციალის განვითარებასა და თემსა და საზოგადოებაში სრულყოფილი მონაწილეობაში“. ამ დეფინიციის მიხედვით და ნიგნიერების მაღალი კოეფიციენტების გათვალისწინებით (99,9% გოგონებსა და 99,8% ბიჭებში), საქართველოს მოსწავლეებს კარგი შედეგი უნდა ეჩვენებინათ PISA-ს და სხვა საერთაშორისო შეფასებებში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ ქვეყნების საერთაშორისო კვლევების მიხედვით კი რეიტინგი დაბალია. ამიტომაც საჭიროა ამ შეუთავსებლობის საფუძველიანი შესწავლა.“

მომხსენებელთა გამოსვლების შემდეგ დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დაფინანსება და განათლების ხარისხი, სისტემაში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც „ქაოსურად“ შეფასდა, ეროვნული გამოცდები და „უცოდინარი“ სტუდენტები, პედაგოგთა კვალიფიკაცია... – აი, ამ საკითხებს შეეხნენ, ძირითადად, გამომსვლელები. ერთგვარი შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, ძირითადად, ორგვარი შეხედულება გამოიკვეთა სადისკუსიო საკითხის ირგვლივ. ერთი ასეთია – „დღეს მიმდინარეობს მოძრაობა ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებისთვის, რათა საფუძველი დაედოს კონკრეტული შემუშავების“ და მეორე – „კონსოლიდირებული ხედვის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია და არც არის საჭირო“.



# ეროვნული გამოცდების მოდელი – სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთა თუ უმაღლესი სასწავლებლის გადასახადების გზა

ნელს სკოლის გამოსაშვებამ გამოცდებამ საზოგადოების ბარკვეული ნაწილის – უფროსკლასელთა, კედაგომთა და გმოპალთა – უკმაყოფილება გამოიწვია. პარალელურად, იყო შიში, რომ 2014 წელს ეროვნულ გამოცდაზე შეტანილი რამდენიმე სიახლე გვირ აპიტურინტს დატოვებდა უმაღლესი სასწავლებლის მიღმა. ჩვენ ვესაუბრეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს, მაია მიმინოვილს და შევეცადეთ, გაგვიჩვენო, რა იყო გამოსაშვები გამოცდათ უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი და გამართლდა თუ არა შიში, ეროვნული გამოცდების შემთხვევაში.

## გამოსაშვები გამოცდა

რადგან უკმაყოფილება გამოითქვა, ჩვენ შევხვდით მოსწავლეებს, ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, გავარკვეეთ მათი წუხილის მიზეზი და შევთავაზეთ, როცა ყველაფერი ჩაივლის, სექტემბერ-ოქტომბერში, თუ სურვილი ექნებათ, მოვიდნენ ცენტრში და უფრო დეტალურად გავაცნობთ პროგრამას და ალგორითმს, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეების შეფასება. სამწუხაროა ერთი ფაქტი, ამ სისტემას – გამოსაშვები გამოცდების კომპიუტერზე ადაპტირებულ ტესტირებას – საზოგადოება ძალიან ხედაპირულად უყურებს. ეს გასაკვირია და ლოგიკურად იმით, რომ თავად სისტემა ძალიან კომპლექსური და რთული, ამდენად ბუნებ-

კუთხით იყო უკმაყოფილება. დამეთანხმებით, რომ სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, მოსწავლეების გარკვეულ რაოდენობას თვითონ დაეანახოთ, რა დავალებები შეხვდათ მათ და რომელ დავალებზე ვერ მოახერხეს სწორად პასუხის გაცემა. ამ ალგორითმით, ათი ქულა შეიძლება დაინეროს იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე სამ შეცდომას დაუშვებს, ოღონდ გააჩნია, რომელ დავალებაზეა საუბარი, ბუნებრივია, დავალებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს არ არის ჩვეულებრივი ტესტირება, როდესაც პირდაპირაა განსაზღვრული, რომელი დავალება შეხვდება მოსწავლეს. ყოველი შემდგომი დავალება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გასცა მოსწავლემ პასუხი წინა დავალებებს

ამონებზე. ასე რომ, სისტემა მაქსიმალურად გამჭვირვალეა.

რაც შეეხება კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების სისტემას, გამჭვირვალე ვერაფრით ვერ იქნება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. აქ სულ სხვა პრინციპებია ჩადებული და თვითონ დავალებათა ბანკი უნდა იყოს ძალიან დიდი. შეიძლება დავალებების 10-15% გამოიყენო გამოცდაზე, მაგრამ 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი დავალება უნდა გქონდეს ბანკში იმისთვის, რომ ალგორითმმა იმუშაოს. ბუნებრივია, ერთ ნელინადმი დავალებათა კარგი ბანკის შექმნა სრულიად წარმოუდგენელია. ეს პროცესი არ არის დაკავშირებული მხოლოდ იმასთან, რომ სპეციალისტი დაჯდეს და დავალებები დაწეროს. ასეთ დავალებებს არაერთი გამოცდა და ყველა პარამეტრის შემოწმება სჭირდება, რომ შემდეგ დავალებათა ბანკში მოხვდეს. სწორედ ამ პარამეტრების მიხედვით ახერხებს ალგორითმი შემდგომი დავალებების მოძიებას. ასე რომ, თითოეულ დავალებას ზუსტად გაზომილი პარამეტრი სჭირდება. ამიტომაც, ბუნებრივია, ეს დახურული სისტემაა. ასეთი სისტემებით მიხედვით დასავლეთში, სადაც ცენტრალიზებული ფორმით ტარდება გამოცდები და იქ არავის აზრად არ მოსდის, მაგალითად ტოეფელის, ჯიარის ან ამ ტიპის სხვა გამოცდას როცა აბარებს, დასვას კითხვა – რატომ მივიღე ეს შედეგი, რომელ დავალებას ვუპასუხე სწორად და რომელს ვერ ვუპასუხე ან აპელაციას იფიქროს. ასეთი რამ იქ არ არსებობს – აპრობირი იღებენ იმ შედეგს, რაც არის, რადგან თვითონ სისტემის მიმართ აქვთ ნდობა.

ხშირად გაიგონებ – ვიცი, სწორად გავეცი პასუხი, ყველა დავალება სწორად შევასრულე და ათი ქულა რატომ არ მივიღე? ასეთ მოსწავლეებს მინდა ვაჩვენო ზუსტად ის დავალებები, რომელიც მათ შეხვდათ გამოცდაზე და ვერ უპასუხეს. ისევ ვიმეორებ, რიგ შემთხვევებში, სამ შეცდომაზეც კი, ალგორითმი უმაღლეს შეფასებას აძლევს. ამიტომაც, თავისთავად ის შკალა, რომელზედაც

თესად მოვახერხე ამ ტესტის შესრულება, ვიდრე კონკრეტული ქულა ამა თუ იმ საგანში. მაგალითად, ისტორიის შემთხვევაში, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა, რომლებმაც 8,5 და მეტი ქულა მიიღეს, თანატოლთა 97%-ზე უკეთ შეასრულეს დავალება. პირდაპირი კავშირის დამყარება თავიდანვე არასწორია. ჩვენ სულ ვეუბნებოდით მოსწავლეებს, თუ მიიღე 8,5 ქულა, ეს ძალიან კარგი შეფასებაა. შეიძლება რომელიმე რთულ დავალებას ვერ გაართვა თავი და ამაში დასაძრახი არაფერია. მთავარია, ბარიერი გადალახო და 7,5-ზე მეტი შეფასება თუ მიიღე, ეს უკვე კარგია.

საზოგადოება მიჩვეულია ღია და გამჭვირვალე სისტემას ეროვნულ გამოცდაზე და ითხოვდა, ასეთივე ყოფილიყო გამოსაშვები გამოცდების სისტემა. თეორიულადაც კი შეუძლებელია კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების საზოგადოებისთვის ისევე გამჭვირვალე მიწოდება, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაშია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ასეთი პრეცედენტი არც ერთ ქვეყანაში არ არის, არც ერთი ორგანიზაცია არ მიდის იმაზე, რომ მისი პროდუქტი ყოველ ნელინად, ასე ვთქვათ, გამოიფინოს და ველარასოდეს გამოიყენოს შემდგომ. ძალიან რთული სამუშაოა საგამოცდო ტესტის მოწოდება, უამრავი აპრობაცია სჭირდება, უამრავი კორექტურა, ამ მიმართულებით ჩვენი ორგანიზაცია ყოველწლიურად ძალიან დიდ სამუშაოს ატარებს. რადგან დავინყეთ ასეთი გამჭვირვალე სისტემით ეროვნული გამოცდები, სპეციფიკის შეცვლას არ ვაპირებთ, მაგრამ ეს ნამდვილად გაჭირდება კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების შემთხვევაში.

ძირითადი უკმაყოფილება სწორედ სისტემის გამჭვირვალეობასთანაა დაკავშირებული, ასევე, იმასთან, რომ ეს ალგორითმი რთული აღმოჩნდა ასახსნელად და ამაში არალოგიკურს ვერაფერს ვხედავ. ხშირად გვეკითხებიან – რამდენ დავალებას უნდა ვუპასუხო სწორად, მაღალი ქულა რომ მივიღო? რამდენი დავალება მომივა? ეს ყველაფერი მოსწავლეზეა დამოკიდებული. რამდენი დავალები-

**საზოგადოება მიჩვეულია ღია და გამჭვირვალე სისტემას ეროვნულ გამოცდაზე და ითხოვდა, ასეთივე ყოფილიყო გამოსაშვები გამოცდების სისტემა. თეორიულადაც კი შეუძლებელია კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების საზოგადოებისთვის ისევე გამჭვირვალე მიწოდება, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაშია. ასეთი პრეცედენტი არც ერთ ქვეყანაში არ არის.**

რივია, რომ არ არის მარტივი გაიგო, რა პრინციპებით ხდება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება. თუმცა, ამ შემთხვევაში, თვითონ იდეის თვალსაზრისით, ველისიპედი არავის გამოუგონია, ეს არის სრულიად ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მაქსიმალური სიზუსტით შეაფასო კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობა. ამიტომაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სწორედ ამ სისტემაზე შეგვეჩვენებინა არჩევანი და შეიქმნა ძალიან რთული ალგორითმი. დეტალური აღწერა ამ ალგორითმისა ჩვენს ვებგვერდზე დევს, მაგრამ სავებით ლოგიკურია, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის რთული იქნება, გაარკვიოს, რა პრინციპებია ჩადებული. მე პირადად ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა წლის განმავლობაში, დაგვეგეგმა ე.წ. ვორკშოუები XI-XII-კლასელებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ გაიგონ და მათ აუფხსნათ, რა პრინციპებით ხდება შესაძლებლობების შეფასება, თავიანთი თვალთ დაინახონ, როგორ არის აწყობილი ალგორითმი, მათთვის გასაკვებ, მარტივ ენაზე ავხსნათ ეს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, გვეყავს ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ამ ინტერესს გამოიჩინებენ და მიიღებენ მონაწილეობას.

თქვენ იცით, რომ გამოსაშვები გამოცდების შემთხვევაში დავალებათა ბანკი დახურულია და კონფიდენციალური, მაგრამ მათთვის, ვინც მონაწილეობდა გამოსაშვებ გამოცდებზე, შეგვიძლია გამოვაცხადოთ დავალებათა და თავიანთი თვალთ ნახონ – რა დავალებები შეხვდათ, სად გასცეს სწორი პასუხი, რამდენი შეცდომა დაუშვებს და რის გამო დაიმსახურეს ასეთი შეფასება. გამოცდებამდეც და გამოცდების შემდგომაც ჩვენ ვსაუბრობდით ამ თემებზე. ძირითადი უკმაყოფილება გახლდათ ის, რომ მოსწავლეები, განსაკუთრებით მშობლები და, შესაძლოა მასწავლებლებიც, პირდაპირ ავლენდნენ ანალოგს გამოცდის შეფასებასა და სკოლაში არსებულ შეფასების სისტემას შორის. საუბარი იყო იმაზე, რომ მოსწავლე ათოსანია და რატომ მოხდა ისე, რომ გამოცდაზე მიიღო, დაეუშვათ, 9 ან 8,5 ქულა. ძირითადად, ამ

და, რა თქმა უნდა, დავალების სირთულეც ითვლება.

თავის დროზე, როდესაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დავინყეთ ახალი საგამოცდო მოდელის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მოგვემოვებინა საზოგადოების ნდობა და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება მივიღეთ, სისტემა მაქსიმალურად გამჭვირვალე ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ერთიანი ეროვნულ გამოცდებს 2005 წლიდან ვატარებთ და საზოგადოება მიეჩნევა ერთ ფაქტს, რომ სისტემაში ყველა ნაბიჯი გამჭვირვალეა, ისინი ყველაფერს ხედავენ. ამან საშუალება მოგვცა, საზოგადოების მაქსიმალური ნდობა მოგვეპოვებინა. მაგალითად, აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, იხილოს როგორ გასწორდა მისი ნამუშევარი და, თუ არ ეთანხმება გამსწორებლებს, გადაწყვიტოს, შეიტანოს თუ არა განაცხადი აპელაციაზე. ის თვალნათლივ ხედავს არა მარტო ტესტს და სწორ პასუხებს, არამედ თავის ნამუშევარს და გამსწორებლების მიერ ჩატარებულ სამუშაოს – როგორ და რატომ შეფასდა ასე ტესტი. ამის ანალოგს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. ერთი მხრივ, ეს კარგია და სწორედ ამან განაპირობა საზოგადოების მაქსიმალური ნდობა, მაგრამ, მეორე მხრივ, ორგანიზაციისთვის უდიდესი ტვირთია, რადგან, ამ შემთხვევაში, ვერც ერთ დავალებას, თუნდაც კოლონირებულს, შემდგომში ვეღარ გამოიყენებ. ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის ორგანიზაციას იმავე ძალისხმევას და ხარჯვას უნევს, რაც წინა წლებში. თუმცა, ჩვენი ორგანიზაცია ამაზე შეგნებულად ნაწვიდა – იყო სრულიად ახალი საგამოცდო მოდელი და მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ნდობის მოპოვება. გადაწყვიტეთ, რომ სჯობს გაეჭიროთ და ყოველ წელს გვეკონდეს ბევრი სამუშაო, სამაგიეროდ მშობელს, პედაგოგს, აბიტურიენტს, ექსპერტს – ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა ნახოს, როგორ მიმდინარეობს გასწორების პროცესი. თქვენ იცით, რომ თითოეული დავალება ორჯერ სწორდება, მაგრამ შეიძლება ორივე გამსწორებელმა დაუშვას შეცდომა. თუ აბიტურიენტი გამსწორებელს არ ეთანხმება, ბუნებრივია, სააპელაციო კომისია კიდევ ერთხელ

**გამოსაშვებ გამოცდას ბარკვეული ხარკვი მიმჭყა რეგისტრაციის თვალსაზრისით, ძალიან სამწუხარო, თუმცა, ჩამთვის სრულიად გაუგებარი. სკოლის შეცდომის გამო, 100 მითერთმეტიკლასელი ვერ დარეგისტრირდა გამოსაშვებ გამოცდაზე. ლოგიკურია გმოპალის ალგორითმაც და მოსწავლეების გულდაწყობაც, რომ თანაკლასელებთან ერთად გამოცდაზე ვერ მიიღეს მონაწილეობა. სკოლის დირექტორის მდგომარეობაშიც ვმედიკარ, მაგრამ მათ საქცილს უკომენტაროდ დავტოვებ.**

მოსწავლეთა შესაძლებლობები იზომება, სულ სხვა და განსხვავებულია, დაეუშვათ, 5-10-ბალიანი შკალისგან. განსხვავებულია იმ კუთხით, რომ მინუს ქულებიც მონაწილეობს და მაგალითად ნული ქულა ნიშნავს საშუალო შესაძლებლობის მოსწავლეს. ვთქვათ, ნულ ქულას რომ მიიღებს მოსწავლე, ბუნებრივია, ეს მისთვის ძალიან ძნელად აღსაქმელი იქნება. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, მათთვის ნაცნობი შკალა შეგვეთავაზებინა. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ 8,5 ქულა ცუდია და ათოსანმა მოსწავლემ 8,5 ან 9 ქულა რატომ უნდა მიიღოს, არ არის სწორი. შეხვედრებზეც ხშირად ვიმეორებდით და ჩვენს ვებგვერდზეც განვათავსეთ ინფორმაცია, რომ 8-დან 10-მდე შეფასება ძალიან კარგია. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენ მოსწავლეს უკე-

თაც შეძლებს ალგორითმი კონკრეტული მოსწავლის მაქსიმალური სიზუსტით შეფასებას, იმდენი დავალება მოუვა. რამდენ შეცდომას დაუშვებს, ესეც იმაზეა დამოკიდებული, რომელ დავალებაზე ვერ მოახერხა სწორი პასუხის გაცემა – მარტივი დავალება იყო თუ შედარებით რთული. აქედან გამომდინარე, შეიძლება 10 ქულა დაიმსახუროს მოსწავლემ, რომელმაც არც ერთი შეცდომა არ დაუშვა და ისეთმაც, ვინც 3 შეცდომა დაუშვა.

ამიტომაც აუცილებელია, მაქსიმალურად ვეცადოთ აუფხსნათ, როგორ იმუშაოს ალგორითმი და რატომ არის ეს სისტემა ეფექტური, პირველ რიგში, იმ მოსწავლეებს, რომელთაც ამ პროცესში მონაწილეობა მოუწევთ, ვგულისხმობ XI-XII-კლასელებს. გვინდა, ვორკშოუებს რეგულარული სახე მივცეთ და ოქტომბრიდან დაინტერესებული





მაია ნალაირაშვილი

# ავთენტური მასალის გამოყენება უცხო ენის ბაკვეთილზე

უცხო ენის სწავლებას, სხვადასხვა დროის შესაბამისად, სხვადასხვა მიზნები ჰქონდა. მიზნების შესაბამისად კი მეთოდებიც იცვლებოდა.

შუა საუკუნეების ევროპაში, ჯვაროსნული ომებისა და სხვა ინტერკულტურული მოვლენების წყალობით, ადამიანებმა საკმაოდ ბევრი ენა იცოდნენ. იმხანად წინიერების საზომად და ინტელექტუალური ინფორმაციის გადაცემის საშუალებად ლათინური ენა მიიჩნეოდა, რომელსაც ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ასწავლიდნენ მოსწავლე-შეგირდებს.

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპულ წარჩინებულთა ოჯახებში ძალზე პოპულარული იყო გუვერნანტის ინსტიტუტი. გუვერნანტები ბავშვებს სიყრმიდანვე ასწავლიდნენ იმხანად პოპულარულ ფრანგულ ან რომელიმე სხვა ენას. უცხო ენასა და კულტურასთან ზიარება განათლებული ადამიანის პრივილეგიად მიიჩნეოდა, ისევე როგორც უცხო ქვეყანაში მოგზაურობა და ცხოვრება – ფუფუნების აუცილებელ ნიშნად.

<http://mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=235>

მოკლედ განვიხილოთ ტრადიციული მეთოდი. ტრადიციულ მეთოდს კლასიკურს და ხშირად გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდსაც უწოდებენ. ამ მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უცხო ენაზე ტექსტის წაკითხვა და თარგმნა, რაც, რა თქმა უნდა, ზეპირ მეტყველებას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა. ენა აღქმული იყო, როგორც წესებისა და გამონაკლისების ერთობლიობა, რომლის აღმოჩენა და შესწავლა შესაძლებელი ხდებოდა ტექსტებიდან. აქედან გამომდინარე დიდი ყურადღება ეთმობოდა ლიტერატურულ ტექსტებს და მის შესწავლას.

სავარჯიშოებშიც ამ მიზნის შესაბამისი იყო. თავდაპირველად, ძირითადი თემა იყო თარგმანი, ხოლო გრამატიკა დედუქციური მეთოდით ისწავლებოდა (ჯერ იხსნებოდა წესი, შემდეგ ხდებოდა მისი მაგალითებში გამოყენება და გალრმავება).

გარკვეული დროის შემდეგ კი, უკვე გრამატიკა მიიჩნეოდა პრიორიტეტულად და ხდებოდა ტექსტების დანაწევრება, რათა უფრო მეტი სიზუსტით (სიტყვა-სიტყვით) თარგმნილიყო ის მშობლიურ ენაზე. ეს გახდა თეორიული გრამატიკის შესწავლის საფუძველი. შესაბამისად, გრამატიკის შესწავლა ხდებოდა იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ის ტექსტში ხდებოდა.

სიტყვები მოცემული იყო ჩამონათვალის ფორმით და შემსწავლელს ის ზეპირად, მშობლიურ ენაზე ნათარგმნი უნდა სცოდნოდა. მოკლედ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო ენის შესწავლის ტრადიციული მეთოდი მიზაძვით სწავლებას ეყრდნობოდა და არავითარი კავშირი არ ჰქონდა კრეატიულობასთან.

ენის სწავლების თანამედროვე სტანდარტის მიხედვით, შეიცვალა მეთოდები და მიდგომა. დღეს ენის პირველი ფუნქცია კომუნიკაციური ფუნქციაა. ენის შესწავლის კომუნიკაციური მიდგომა სათავეს იღებს საფრანგეთში, 1970-იან წლებში. შესაბამისად მეთოდებმაც შეიძინა კომუნიკაციური მიმართულება. კომუნიკაციური მიმართულების მხრივ ძალიან საინტერესოა ავთენტური „დაუმუშავებელი“ მასალის გამოყენება სასწავლო პროცესში.

მოსწავლეებს წიგნებში ნებისმიერი სავარჯიშო გამოადებული, „აუდასტურებელი“ ხდება, ანუ მას მოჰყვება ადაპტირებული კითხვები ან სიტყვები და ა.შ. აუდიო ხმა ჩანერილია მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინებით, შერჩეულია სიჩქარე, ტემპი, ტემბრი, გარემო და ა.შ. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ასეთი ტიპის ენას ვერ ვხვდებით, ანუ უცხოელი ჩვენთვის ადაპტირებულ გარემოში არ გვხვდება ან

არ საუბრობს სრულ სიჩუმეში, განსაკუთრებით ნელა და ა.შ. მაშინ ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რა უნდა ვქნათ? როგორ შეიძლება ვასწავლოთ „რეალური“ ენა? ამაში გვეხმარება ჩვეულებრივი ყოველდღიური მოვლენები, ტექსტები, სიმღერები და ფილმები (მასალა, რომელიც არა სასწავლად არამედ, უბრალოდ, ამ ენის მატარებელი ადამიანებისთვისაა შექმნილი). ამ ტიპის მასალას ავთენტური მასალა, ხოლო მასზე სავარჯიშოების შექმნასა და მორგებას უკვე ავთენტური მასალის „პედაგოგიზაცია-დიდაქტიზირება“ ჰქვია.

არსებობს შეხედულება, რომ ავთენტური მასალის გამოყენება სწავლების მხოლოდ რომელიმე მომენტში შეიძლება, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოს დროს ან მხოლოდ მიმდინარე თემების განხილვისას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმძღვანელო ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია უცხო ენის სასწავლო პროცესის სისტემატიზაციისა და ორგანიზებისათვის. თუ ჩვენი ფრანგი კოლეგების – ანტიბის საერთაშორისო პედაგოგიურ ცენტრის – გამოცდილებას დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ მთელი სასწავლო პროცესის დაგეგმვა შეიძლება ავთენტურ მასალაზე დაყრდნობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ძალიან შრომატევადი, ამავე დროს საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული პროცესია.

ასეთ შემთხვევაში უნდა ავიღოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და შედეგები და მას მოვარგოთ აქტივობები და მასალა. მინდა შემოგთავაზოთ ჩემ მიერ გამოყენებული და დიდაქტიზირებული მასალა, რომელიც ორიენტირებულია უცხო ენის სწავლების ოთხივე მიმართულების განვითარებაზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ მიმართულებებია აღებული, შემდეგში შემოგთავაზებთ, ავთენტურ მასალაზე დაყრდნობით, კონკრეტული გრამატიკული ერთეულის ახსნას.

## პრაქტიკული ნაწილი

**მიზანი:** ოთხივე მიმართულების განვითარება (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი).  
**სამიზნო ჯგუფი:** A2  
**ბარათებზე მუშაობა:**

### აქტივობა პირველი

**მიზანი:** კითხვა/წაკითხვის გაგება. ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ლაპარაკი: მოსწავლეები ცდილობენ ახალი ლექსიკური ერთეულის საკუთარი სიტყვებით ახსნას.

#### მიმდინარეობა:

მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები და წყვილებში ცდილობენ ახალი სიტყვების მნიშვნელობის გაგებას. თითოეული ახსნის ან მცდელობის შემდეგ ხდება მათი გაგება (უკიდურეს შემთხვევაში – თარგმნა). **დანართი 1.**

### აქტივობა მეორე

**მიზანი:** კითხვა/წაკითხვის გაგება. გამონათქვამების გაგება/ ახსნა, სიტუაციაზე მორგება.

**მიმდინარეობა:** გამონათქვამის ახსნის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს:

#### დანართი 2.

- 1 ბარათის შემდეგ: ახსნა და Qui voit la vie en rose? Comment est la personne qui voit la vie en rose?
- 2 ბარათის შემდეგ: ახსნა და Qui boit du rouge? Quand on boit du rouge?
- 3 ბარათის შემდეგ: ახსნა და Qui lèche les bottes ? Comment est la personne qui lèche les bottes?
- 4 ბარათის შემდეგ: ახსნა და Quand on lèche les vitrines?
- 5 ბარათის შემდეგ: ახსნა და Comment est la vieille fille?
- 6 ბარათის შემდეგ: ახსნა.

### აქტივობა მესამე

**მიზანი:** ზეპირმეტყველების განვითარება. დახურული კითხვების ჩამოყალიბება და დასმა.  
**მიმდინარეობა:** ერთი მონაწილე ჩაიფიქრებს პროფესიას და სხვა მონაწილეები დახურული კითხვების საშუალებით შეეცდებიან გამოიცნონ ჩაიფიქრებული პროფესია.

სასურველია: ბოლოს მასწავლებელმა ჩაიფიქროს მომღერლის პროფესია და ის გამოაცნობინოს დახურული კითხვების საშუალებით მოსწავლეებს.

### აქტივობა მეოთხე

**მიზანი:** გლობალური მოსმენა.  
**მიმდინარეობა:** მოსწავლეები უსმენენ სიმღერას და საუბრობენ მის ზოგად შინაარსზე.

### აქტივობა მესამე

**მიზანი:** დეტალური მოსმენა.  
**მიმდინარეობა:** მოსწავლეებს ურიგდებთ სიმღერის ტექსტი, გამოტოვებული სიტყვებით და ავსებენ მას სიმღერის მოსმენასთან ერთად. **დანართი 3.**

### აქტივობა მეექვსე

**მიზანი:** კითხვა, წაკითხვის გაგება.  
**მიმდინარეობა:** მოსწავლეებს ურიგდებთ სიმღერის სრული ტექსტი, **დანართი 4**, კითხვობენ აბზაც-აბზაც (სტროფ-სტროფ) და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ მის შინაარსს.

**საშინაო დავალება:** მიზანი – წერიტი მეტყველების (რეპროდუქციის) განვითარება. Imaginez comment est la mademoiselle qui chante le blues

<b>Carte 1</b> élever des gosses	<b>დანართი 1</b>	<b>Carte 3</b> au fond des hlm
<b>Carte 2</b> rouler les bosses		<b>Carte 4</b> faire la noce

<b>Carte 1</b> La vie en rose	<b>დანართი 2</b>	<b>Carte 5</b> Vieille fille
<b>Carte 2</b> boire du rouge	<b>Carte 3</b> Lecher les bottes	<b>Carte 6</b> Faire le cinéma
	<b>დანართი 3</b>	
Y'en a qui élèvent .....des hlm	<b>დანართი 4</b>	
Y'en a qui roulent .....du Brésil en Ukraine	Y'en a qui élèvent <b>des gosses au fond</b> des hlm	
Y'en a qui font .....du côté d'Angoulême	Y'en a qui roulent <b>leurs bosses</b> du Brésil en Ukraine	
Et y'en a même qui militent dans la rue avec tracts et banderoles	Y'en a qui font <b>la noce</b> du côté d'Angoulême	
Et y'en a qui en peuvent plus de jouer les sex symbols	Et y'en a même qui militent dans la rue avec tracts et banderoles	
Y'en a qui vendent l'amour au fond de leur bagnole	Et y'en a qui en peuvent plus de jouer les sex symbols	
	Y'en a qui vendent l'amour au fond de leur bagnole	
Mademoiselle chante le blues		
Soyez pas trop jalouses		
Mademoiselle .....		
Mademoiselle chante le blues		
Y'en a huit heures par jour qui tapent sur des machines		
Y'en a qui font la cour masculine féminine		
Y'en a qui .....comme on .....		
Et y'en a même qui font du cinéma, qu'on appellent Marilyn		
Mais Marilyn Dubois s'ra jamais Norma Jean		
Faut pas croire que l'talent c'est tout c'qu'on s' imagine		
Elle a du gospel dans la voix et elle y croit		
Y'en a qui s'font bonne s'œur, avocat, pharmacienne		
Y'en a qui ont tout dit quand elles ont dit je t'aime		
Y'en a qui sont.....du côté d'Angoulême		
Y'en a même qui jouent femmes libérées		
P'tit joint et gardénal qui mélangent .....et image d'Epinal		
Qui veulent se faire du bien sans jamais s'faire du mal		
	<b>დანართი 4</b>	
Y'en a qui élèvent <b>des gosses au fond</b> des hlm		
Y'en a qui roulent <b>leurs bosses</b> du Brésil en Ukraine		
Y'en a qui font <b>la noce</b> du côté d'Angoulême		
Et y'en a même qui militent dans la rue avec tracts et banderoles		
Et y'en a qui en peuvent plus de jouer les sex symbols		
Y'en a qui vendent l'amour au fond de leur bagnole		
Mademoiselle chante le blues		
Soyez pas trop jalouses		
Mademoiselle <b>boit du rouge</b>		
Mademoiselle chante le blues		
Y'en a huit heures par jour qui tapent sur des machines		
Y'en a qui font la cour masculine féminine		
Y'en a qui <b>lèchent les bottes</b> comme on <b>lèche des vitrines</b>		
Et y'en a même qui font du cinéma, qu'on appellent Marilyn		
Mais Marilyn Dubois s'ra jamais <b>Norma Jean</b>		
Faut pas croire que l'talent c'est tout c'qu'on s' imagine		
<b>Elle</b> a du gospel dans la voix et elle y croit		
Y'en a qui s'font bonne s'œur, avocat, pharmacienne		
Y'en a qui ont tout dit quand elles ont dit je t'aime		
Y'en a qui sont <b>vieilles filles</b> du côté d'Angoulême		
Y'en a même qui jouent femmes libérées		
P'tit joint et gardénal qui mélangent <b>vie en rose</b> et image d'Epinal		
Qui veulent se faire du bien sans jamais s'faire du mal		

# ახალი სასწავლებელი სპორტისთვის

## ირაკლი თაყაიძე

7-წლიანი პაუზის შემდეგ ყოფილმა სპორტის აკადემიამ ისევ მიიღო სტუდენტები. მოგესვენებთ, ქვეყანაში სპორტული პროფილის ეს ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი 2007 წელს გაუქმდა, ვითომ რეფორმის მომიზეზებით, მაგრამ აშკარაა, რომ ილიას უნივერსიტეტში კათედრის სტატუსით გადატანამ ვერ გაამართლა და რეფორმამ სრული კრახი განიცადა, რითაც დიდი დარტყმა მიიღო ქართულმა სპორტმა. ამის მიუხედავად, ხანგრძლივმა საპროტესტო აქციებმა შედეგი ვერ გამოიღო და ყველაფერი „ძალი ყვეს, ქარავანი მიდის“ ფორმატში დარჩა. ვითარება მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოსწორდა, რასაც ქვეყანაში პოლიტიკურმა ცვლილებამაც შეუწყო ხელი. საინიციატივო ჯგუფის დიდი მეცადინეობით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომითა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის მხარდაჭერით, უკვე შარშანვე გადაწყდა აკადემიის აღდგენა, ხოლო წლეულს სტუდენტთა პირველი ნაკადიც მიიღო. ოღონდ სასწავლებელი ახალი სახელით გააგრძელებს მუშაობას და ქართული სპორტის სამსახურს – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ეწოდება.

ახალაღდგენილ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა 29 სექტემბერს განახლდა. თავდაპირველად, რეგისტრაცია 150-მა მსურველმა გაიარა, თუმცა დიდმა ნაწილმა – 90-მა აბი-

ტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდები ვერ ჩააბარა. უნივერსიტეტი სწავლას მცირე კონტინგენტით შეუდგა, მაგრამ პირველ ეტაპზე ესეც დიდი საქმეა – მთავარია, სასწავლებელი აღდგა, ანუ ყინული დაიძრა. თან, უნივერსიტეტი გზადაგზა იდგამს ფეხს – ვინაიდან სწავლა ჯერ მხოლოდ პირველ კურსზეა, ამიტომ სულ რამდენიმე ფაკულტეტი, მათი რაოდენობა წლებთან ერთად მოიმატებს. გაუქმების წლებში შენობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგრძნობლად დაზიანდა ან სულაც განადგურდა. მათი აღდგენა-გარემონტებაც, ასევე, თანდათან მოხდება, ჯერჯერობით კი რემონტი შენობის ორ სართულს ჩაუტარდა. მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა მატერიალური ბაზაც და რექტორატმა სტუდენტებს სწავლისთვის ხელსაყრელი პირობები დაახვედრა.

უნივერსიტეტს ფუნქციონირების დასაწყებად გვარიანი წინააღმდეგობაც შეხვდა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დაგვიანდა აკრედიტაციის მიღება და ეს ერთგვარად ფორს-მაჟორულ პირობებში მოხდა. სამაგიეროდ, როცა აკრედიტაცია მიიღეს, აბიტურიენტთა რეგისტრაცია დამთავრებული იყო, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნება დართო მსურველებს, განაცხადში შესწორება შეეტანათ და დამატებით მიეთითებინათ ეს უნივერსიტეტი. ძირითადად, სწორედ ამითაა განპირობებული მსურველთა შედარებით მცირე რაოდენობა, ინტერესი კი დიდი იყო. ბევრმა ყოფილმა თუ მოქმედმა სპორტსმენმა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გა-



მოიტანა საბუთები და აქ შეიტანა. რექტორატი გვაიმედებს, რომ მომავალი აკრედიტაციისთვის თადარიგს დროულად დაიჭერს და გაცილებით ნაკლები პრობლემა იქნება. უნივერსიტეტი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ესწრებოდნენ: სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე თამაზ თევზაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის

საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი ლერი ხაბუაძე, პარლამენტარი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი, მსოფლიოს ჩემპიონი ლუკა კურტანიძე, ევროპის ჩემპიონები – ნოდარ მოდებაძე, დავით კვაჭაძე და სხვა ცნობილი ვეტერანები, რომლებმაც სტუდენტებს სწავლის დაწყება მიულოცეს. უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი გურამ ძაგანიაა, რომელიც ასევე მიესალმა სტუდენტებს.

## ინფორმაცია

# ევროპული ენების დღე



თბილისის №72 საჯარო სკოლა მრავალეროვნაია, კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნებით ხასიათდება, ამიტომაც დიდი ინტერესით ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში „ევროპული ენების დღე საქართველოში“. სკოლის დირექტორის, მანანა კიკაჩიშვილის მხარდაჭერით და უცხო ენების კათედრის წევრის, საბინა ალიევის ხელმძღვანელობით, მომზადდა ღონისძიებების ციკლი, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა, 22-26 სექტემბერს.

პროექტის ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია თემაზე „მე ვარ ქართველი, მაშასადამე – ევროპელი“, რომელიც მიმდინარეობდა ქართულ-ინგლისურ ენებზე. მონაწილეობდნენ X-XII კლასების მოსწავლეები (პედაგოგები: თამარ ტალახაძე, მერი ბადალაშვილი, ელიზა ლავრელაშვილი, ნანა აბრამიშვილი, ნათელა კაპანაძე). მათ მოხსენებებში ვრცლად აისახა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა ევროპისაკენ.

შემდეგი ეტაპი გახლდათ „მომავლის კლასში“ საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და უცხო ენების კათედრების

ერთობლივად ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი IX კლასში (პედაგოგები: ფიქრია ოტიაშვილი და საბინა ალიევი).

საზეიმო კონცერტზე, რომელიც სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა, წარმოდგენილ იქნა ევროპული ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები (პედაგოგი – ნინო გიორგობიანი). ასევე, დარბაზში გამოფენილი იყო V-IX კლასების მოსწავლეების ნახატები თემაზე „გზა ევროპისკენ“.

სკოლის კედლებში დაწყებული კვირეული დაგვირგვინდა ევროპის სახლში, სადაც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, გაიმართა ევროპული ენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სკოლის 9 მოსწავლე – ლეილა იბრაგიმოვი, შარგია იბრაგიმოვი, ნიკიტა დანკო, რაფანა მაგრამოვა, ანი კახარიანი, ნინო კენჭაძე, ქრისტიანა შამუგია, გიორგი კვირიკაშვილი, აიშა მაგრამოვა – დაჯილდოვდა სივლეთით ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ აქტივობებში მონაწილეობისათვის, ხოლო მეათეკლასელმა ალიკ გუსეინოვმა ხატვის კონკურსში „ერთიანი საქართველო და ევროპული ენები“ პირველი ადგილი დაიკავა და ნოუთბუქით დაჯილდოვდა, რომელიც მას საჩუქრად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა გადასცა.

სკოლის დირექციამ ყველა მონაწილე კონკურსის ბილეთებით დააჯილდოვა.

გულოცავთ გამარჯვებულებს და გვეჯერა, რომ ეს ლამაზი ტრადიცია გაგრძელდება და უფრო დიდ მასშტაბებს მოიცავს.



# ვილაკარაკოთ უსხო ენებზე და ერთად აღვნიშნოთ ენების ევროპული დღე



ევროპული დღის აღსანიშნავად, ევროკავშირის კულტურულ ინსტიტუტთან გაერთიანების EUNIC (European Union National Institutes for Culture) წევრმა ორგანიზაციებმა სკოლის მოსწავლეებს ევროპის სახლში უმასპინძლეს, სადაც ევროპის ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების აღსანიშნავად კონკურსები, გაკვეთილები და სახალისო გასართობი აქტივობები გაიმართა. ღონისძიებას, ბევრ საპატიო სტუმართან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დაესწრნენ. გამარჯვებული კონკურსანტები პერსონალური კომპიუტერებით დაასაჩუქრეს.

პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა კონკურსებსა და სადემონსტრაციო გაკვეთილებს, რომლებიც პარალელურ რეჟიმში იმართებოდა. მოსწავლეებს შეეძლოთ, უკეთ გაცნობოდნენ ევროპაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის კულტურულ თუ ენობრივ თავისებურებებს. კონკურსების გამარჯვებულები პრიზებით დასაჩუქრდნენ.

ენების ევროპული დღე 2001 წელს დაწესდა ევროპის საბჭოს მიერ, რათა აღენიშნათ ევროპის კულტურული მრავალფეროვნება და მრავალენოვნება. ეს დღე, ყოველწლიურად, 26 სექტემბერს აღინიშნება. მისი მიზანია ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანაში მცხოვრები რვაასი მილიონი ადამიანის ნახალისება – ისწავლონ უფრო მეტი ენა ნებისმიერ ასაკში, სკოლასა თუ მის ფარგლებს გარეთ. ლინგვისტური მრავალფეროვნება კულტურათაშორისი თავისებურებებისა და ევროპის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. ამდენად, ევროპის საბჭო ფართო პოპულარიზაციას უწევს პლურილინგვიზმს მთელ ევროპაში.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

# სკოლა ჩემი სამყაროა

მილია ზაფხულის ბოლო თვეც კიდევ ერთხელ მერგო ბედნიერება, რომ ჩემი განცდები და შთაბეჭდილებები ფურცელზე გადმოვიტანო. აქ გატარებული წლები ნახატს უფრო ჰგავს, მეტყველს, კინოკადრით რომ გააცოცხლებს განვლილს... ამ ტილოს მთავარი პერსონაჟი კი სკოლაა. მე ამ პატარა სამყაროში შევალნი. პატარა ადამიანების მიმართ მეტის ცოდნის ნყურვილი, მათდამი სიყვარული გახდა ჩემი პროფესიის შეცვლის სურვილი. სურვილი, რომელიც რეალობად ვაქციე და უკვე მასწავლებელი

ვარ. ძნელია, ყველაფერზე გულახდილად ილაპარაკო. ბევრმა დაბრკოლებამ, გაურკვევლობამ იჩინა თავი, მაგრამ ყველაფერი ცუდი უკან დარჩა... მე, ჩემს პროგრამასთან ერთად „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, ისევ მყარად ვდგავარ იქ, სადაც უნდა ვიყო, ეს ჩემი სურვილი და უფლებაა არის, რაც არ უნდა იყოს, „უფლება შეიძლება მოიპოვო, მიითვისო, ხელში ჩაიგდო, მაგრამ თუ ჭკუათმყოფელი ხარ საჩუქრად არ უნდა მოელოდო“. მეც, ცხოვრებისგან საჩუქრად არასოდეს არაფერი არ

მიმიღია. ალბათ უფრო ღირებულა, როცა ბრძოლით, სიმართლით ჩაიგდებ ხელში იმას, რაც შენია და შენ გეკუთვნის. დიხს, მე ვფიქრობ რომ ეს სკოლა, მოსწავლეები, სადაც თითქმის სამი წელი გავატარე, ჩემს გულს ეკუთვნის.

დამთავრდა საზაფხულო არდადეგები, დადგა 15 სექტემბერი. მახსოვს, ბავშვობაში პირველ სექტემბერს დიდი სიხარულითა და ემოციით ველოდი, იმავე სიხარულსა და ემოციას ვგრძნობ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, როცა მე, მასწავლებელი, სულმოუთმენლად ველი ჩემს მოსწავლეებთან შეხვედრას.



ბენ ქართულად დაგველაპარაკონ და მოგვეფერონ, ამით იმას გვიმტკიცებენ, რომ ჩვენს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მასწავლებლისათვის კი ამაზე საამაყო და სასიამოვნო არაფერია. ჩვენ, ორი ქართველი მასწავლებელი, კვლავ იმედი ვართ ამ ბავშვებისთვის. ელოდებიან ახალ პროექტებზე მუშაობას, იციან, რომ წინ კიდევ ერთი დაუვინყარი, დატვირთული და სასიამოვნო სასწავლო წელი ელოდებათ. ბავშვებთან ერთად მშობლებიც მხარს უჭერენ ყველა საინტერესო აქტივობას, ღონისძიებას, ესწრებიან გაკვეთილებს. მათთვისაც ღირებული და ფასეული გახდა ქართული

ენის ცოდნა. ტკბილია, როცა შენს „ტკბილ ნანას“ სხვას უზიარებ. ყოველ დღით სკოლისკენ მიმქარება, ის ჩემთვის ტაძარია, ცოდნის ტაძარი, ამიტომაც „მამაო ჩვენოსავით“ მინდა ვიცოდე ჩემი საქმე. მათ თვალეში ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩანს, ნათელი მომავალი, რომლის ხელშემწყობი და გზის გამკვალავი ჩვენ ვართ, მასწავლებლები. ყველა ჩემს კოლეგას ვუსურვებ შედეგიან, ნაყოფიერ და წარმატებულ სასწავლო წელს.

სალომი ძირია პროექტის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე მასწავლებელი

## თვალსაზრისი

როცა ჩვენი მოსწავლეების დემოტივაციის ან ნიჰილიზმის მიზეზებს ვუღრმავდებით, ძალაუფლებურად გვიჩნდება კითხვა: სად დავუშვით შეცდომა? შეუძლებელია, ამ სამწუხარო რეალობას მიზეზი არ ჰქონდეს, თორემ როგორ შეიძლება ცოტნე დადიანის ან ცხრა ძმა ხერხეულიძის ლამის ყოველი თავმოყვარე ქართველის მიერ გათავისებულ გმირობა დღეს თანამედროვე მოზარდისთვის საქმიანობა ან სულაც უცნობი იყოს?

სად შეგვეშალა? იქნებ მამინ, როცა იდეოლოგიზაციის შიშით, ჩვენივე ნებით, უარი ვთქვით უმთავრეს პატრიოტულ ღირებულებებზე? ან პირიქით – ხმაალაღი ურატატრიოტიზმით, პოლიტიკურ ჭრილში შელამაზებული ფასადური ემოციებით, ნაგებული ომი ვიზიტივთ?

ფაქტი კი სახეზეა... ამ შეცდომების შედეგად, ჩვენდა სამწუხაროდ, მივიღეთ გაკვეთილები მოშვებული, ხშირად მერხზე თავდადებული, ცარიელი თვალებით მომზირალი თაობა, რომლისთვისაც უცხოა ვინმეს ზნეობრივი მაგალითით სულის აჩქროლება, რადგან იმ სულს გამონრთობა, აღზრდა სჭირდება. მწვრთნელი კი, ჯანსაღი ფასეულობების მქონე საზოგადოების სახით, ჯერ არსად ჩანს. ჰოდა, „მერხზე თავდადებულთა“ თაობა ისე გემრიელად ჩაფლულა უგუნურების მორევში, ისე კომფორტულად შემოუხვევია სულერთაობის გამჭირვალე საბურველი, რომ არაფრად დაგიდეთ არც სამშობლოს სატკივარზე საუბარს და მოსმენას ხომ, მით უმეტეს...

სად შეგვეშალა? – აკვიტებული კითხვის პასუხად ის მწარე რეალობა შემასხენებს თავს, ჯერ კიდევ გალაკტიონის მგრძობიარე, პოეტურმა ხედვამ რომ შენიშნა „ქალაქში, მტკვრში“ ნაქცეული ლურჯთვალა ბავშვის სახით და, მოგვიანებით, კეფერადის თანამოსაუბრე „კარგად დამწყები“, პერსპექტიული ხელმძღვანელის რეპლიკამ რომ იდეალურად ასახა: რა მოხდა მერე? ნაიქცა და ვინმე დადებითი გამომავალი წამოაყენებს... გვინდა თუ არ გვინდა, ამ რეალობას ყველამ ანგარიში უნდა გავუწიოთ: ოჯახმაც, სკოლამაც, საზოგადოებამაც და, რაც მთავარია, სახელმწიფომაც... ანგარიშის განევა კი კომპლექსურ მიდგომას, საკითხის სიღრმისეულ ანალიზსა და სერიოზული მორალურ-ეთიკური, თუ სოციალურ-მატერიალური პრობლემების მოგვარებას გულისხმობს.

დღეს კი, ამ ურთულეს პრობლემებთან შეჭიდებული, თითქმის მარტო დარჩენილი სკოლა და მასწავლებელი იმ ჭიანჭველას მაგონებს, თავის წონაზე გაცილებით მძიმე ტვირთის ადგილიდან დაივრას რომ ცდი-

ლობა და გაჭირვებით გადააქვს უმნიშვნელო მანძილზე. თუმცა, ამის მიუხედავად, ფარხბალ მანც არ ყრის.

წუთით დავივიწყო ჩვენი მოსწავლეების გულგრილობით შელახული პროფესიული თავმოყვარეობა და ჩავუღრმავდეთ მათ ყოველდღიურ სატკივარსა და საფიქრალს. მართლაც, ურთულეს დროში უნვეთ ამ ჯერაც დაუღვინებელ ადამიანებს ცხოვრება და თვითდაპყვიდრება. ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მიმოიხედეთ ირგვლივ, მათ ნინააღმდეგ რამდენი სერიოზული საცდურია ჩასაფრებული... მარტო ინტერნეტი და კომპიუტერი გადაწონინდა ყოველივეს, რომ არა ინდივიდუალური და სპეციფიკური პრობლემები თითოეული ქართული ოჯახისა, ჯერაც ბუდეშეშვლელად, ფესვებს მოუწყვეტლად რომ ცდილობს მკაცრ ცხოვრებასთან გამართული ყოველი „ბრძოლის“ მოგებას. თვალი გადაავლეთ თქვენს მოსწავლეებს და თუ ნახევართან არა, კლასის მესამედთან მაინც იგრძნობთ წლობით უნახავი მშობლის ან მშობლების მონატრებულობაში უთქმელ სევდას, რომელიც ხშირად უხეშობისა და გაუცხოების ნიშანსაა ამოფარებული... განა მხოლოდ მათი სატკივარია წლობით გადახვეწილი ოჯახის ნეველი და, ფაქტობრივად, მოშლილი ან, ხშირ შემთხვევაში, სკაიპის საშუალებით გაგრძელებული ოჯახური ურთიერთობები?

რა უნდა შევთავაზოთ სანაცვლოდ ბებიებისა და ბაბუების ანაბარა დარჩენილ თაობას? როგორ შევუვსოთ მათ ოჯახური მთლიანობის, სიმყარეობის, დედის მიერ ძილის წინ ნაკითხული ზღაპრის მოსმენისას მოგვრილი ძილის ან მისი აღერსით მინიჭებული სიტბოს დანაკლისი? სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ხომ ამგვარი დეტალებიც კი უდიდეს მნიშვნელობას იქნის.

როგორ გავაგებინოთ ან როგორ ჩავუნერგოთ მათ ირგვლივ არსებული გარემოს გაფრთხილებისა და მოვლის არა მხოლოდ სურვილი, არამედ ჩვევა, როცა ისინი მორიგი 45-წუთიანი „ტანჯვის“ დასრულების მოლოდინში, „გმირულად“ უძლებენ რა ამ „ვაებას“, განუწყვეტლად ჯღაბნიან მერხებზე, ნიგნებზე, კედლებზედაც კი და ზოგჯერ უპერით კიდევ, როცა ამის გამო შენიშვნას იღებენ.

როგორ ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ეროვნული ცნობიერებაცაა, რომელსაც, მამაპაპური ტრადიციების, ოჯახუ-

რი ფასეულობების, სამშობლოს სიყვარულის მსგავსად, დაცვა და განვრთნა სჭირდება.

როგორ დავარწმუნოთ, რომ, ერთ-ერთი ქართული კინოფილმის პერსონაჟის არ იყოს, ერის და ადამიანის ღირსება ცნობიერების ფესვებით და ზნეობით იზომება და არა პლანშეტებითა და სხვა ძვირადღირებული აქსესუარით; რომ ჭკუშიატივად ფასეულია ის, რაც საკუთარი სულის, პიროვნების გამოსახრთობად გაგიკეთებია და არა ის, რამდენი დაგისარჯავს ამათუ იმ მოდური სატყუარას მოსაპოვებლად; რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია, სხეულში დავილი ჟრუანტელის სახით, რამდენჯერ გიგრძენია კეფერადისული „ფიქსატორის“ ზემოქმედება ნაკითხული ნიგნის, ნანახი სპექტაკლისა თუ ფილმის, მოსმენილი ისტორიის შემდეგ.

როგორ მივიტანოთ მათ სულელებთან თანაგრძობობის, მათი ტკივილისა და სულის სალომობათა მოზიარობის სურვილი; როგორ მივინდოთ, როგორ დავარწმუნოთ, როგორ გავიყოლოთ სულიერების სხვადასხვა ბუმბერაზ მწვერულთან დასაყრობად, რომ თავადვე იგრძნონ საკუთარ სიმცირეზე, სულიერ სილატაკესა და უნიათობაზე გამარჯვებით გამოწვეული ექსტაზი?!

როგორ შევცვალოთ ჩვენ ირგვლივ ყოფა იმდენად, რომ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ მათ ბავშვურ სულელებში ჩასახლებული სევდითა და ნიჰილიზმით ნასაზრდოები ტკივილი. როგორ გავაღვივოთ მათ სულელებში წინაპართა გმირობისადმი ინტერესი და დეტალების უფრო სიღრმისეულად გამოკვლევის, აღმოჩენის, სიამაყის სურვილი; რომ ჩვენი აღსაზრდელები, 15 წლის ასაკში ან უფრო გვიანაც, მხოლოდ ლიტერატურისა და ისტორიის გაკვეთილებზე არ იგებდნენ ამბავს დავით აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის, ქეთევან ნამბულის, სულმნათი ილიას, ექვთიმე ლეთისკაცის, გენერალ მაზნიაშვილის და სხვა უამრავ ცნობილ თუ უცნობ ერისკაცთა გმირობის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ორიათასწლოვანი ისტორიის კაბადონზე ჩაუქრობელი ვარსკვლავებივით რომ გვინათებენ წარსულის წყვილად?!

ამ პრობლემებზე სიღრმისეულმა ფიქრმა შთავაგონა ჩვენს სკოლებში, IX და VIII კლასებში, პროექტის განხორციელება თემაზე – „საქართველოს ეროვნული გმირები“. მოსწავლეებს ვთხოვეთ მოეძიათ კლასში, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, იმ გმირთა სახელები, რომელთა შესახებაც მათ

სურდათ პრეზენტაციების გაკეთება ან ინფორმაციის მოსმენა. შემდეგ ეტაპზე შეჯერდა და დამუშავდა ინფორმაცია და განისაზღვრა საპრეზენტაციო თემების ჩამონათვალი; მოგვიანებით, კენჭისყრით განაწილდა საკითხები; ერთობლივად შევიმუშავეთ პროექტის ვადები და შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლეებს საპრეზენტაციო საკითხების დამუშავების გარდა, ევალუბოდათ დაენერათ ესე, რომელშიც უნდა დაესაბუთებინათ თავიანთი გმირების ღირსებები, მათი მოღვაწეობის ან გმირობის მნიშვნელობა ქვეყნის წინაშე, რაც ფასდებოდა ესეს შეფასების ერთობლივად შემუშავებული რეზიუმით; პრეზენტაციისას, კლასის ჩართულობის ხარისხის ასაბალებლად, შევიმუშავეთ უკუკავშირის დასამყარებელი კითხვარის ფორმები, რომელთაც მოსწავლეები, თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ცხელი ემოციების კვალდაკვალ ავსებდნენ (კითხვარში იყო რამდენიმე კითხვა: რა ვიცოდი პრეზენტაციამდე განსახილველი საკითხის შესახებ? რა გავიგე ახალი? რა ღვაწლი მიუძღვის აღნიშნულ გმირს ქვეყნის წინაშე და როგორია ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ? რა იყო, შენი აზრით, მოსმენილი პრეზენტაციის ძლიერი და სუსტი მხარე?). როცა კლასი უკუკავშირის კითხვარს ავსებდა, პრეზენტატორი იმუშაობდა თვითშეფასების კითხვარზე (რა იცოდა პრეზენტაციის მომზადებამდე განსახილველ პერსონაჟზე? რა გაიგო ახალი და მნიშვნელოვანი? რა გამოუვიდა კარგად და რას გამოასწორებდა?).

თამამად ვიტყვი, რომ გავნიეთ კოლოსალური შრომა – სამი თვის განმავლობაში, გაკვეთილების შემდეგ, წინასწარ შედგენილი გრაფიკით, მოსწავლეები ატარებდნენ პრეზენტაციებს, მასწავლებლები კი აფასებდნენ პროექტის ფარგლებში შექმნილ ესეებს, პრეზენტაციებს; ეცნობოდნენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების კითხვარებს, მონეველი სტუმრების გამოხმაურებებს. მართალია, ყველა პრეზენტაციამ მოლოდინი ვერ გაამართლა, იყო ჩავარდნებიც, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარი პროექტების (წელიწადში თუნდაც ერთის) განხორციელება, სხვადასხვა თემატიკით, ძალიან დაენმარება ჩვენს მოსწავლეებს ცნობიერებისა და ეროვნული გაღრმავებაში.

სურდათ პრეზენტაციების გაკეთება ან ინფორმაციის მოსმენა. შემდეგ ეტაპზე შეჯერდა და დამუშავდა ინფორმაცია და განისაზღვრა საპრეზენტაციო თემების ჩამონათვალი; მოგვიანებით, კენჭისყრით განაწილდა საკითხები; ერთობლივად შევიმუშავეთ პროექტის ვადები და შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლეებს საპრეზენტაციო საკითხების დამუშავების გარდა, ევალუბოდათ დაენერათ ესე, რომელშიც უნდა დაესაბუთებინათ თავიანთი გმირების ღირსებები, მათი მოღვაწეობის ან გმირობის მნიშვნელობა ქვეყნის წინაშე, რაც ფასდებოდა ესეს შეფასების ერთობლივად შემუშავებული რეზიუმით; პრეზენტაციისას, კლასის ჩართულობის ხარისხის ასაბალებლად, შევიმუშავეთ უკუკავშირის დასამყარებელი კითხვარის ფორმები, რომელთაც მოსწავლეები, თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ცხელი ემოციების კვალდაკვალ ავსებდნენ (კითხვარში იყო რამდენიმე კითხვა: რა ვიცოდი პრეზენტაციამდე განსახილველი საკითხის შესახებ? რა გავიგე ახალი? რა ღვაწლი მიუძღვის აღნიშნულ გმირს ქვეყნის წინაშე და როგორია ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ? რა იყო, შენი აზრით, მოსმენილი პრეზენტაციის ძლიერი და სუსტი მხარე?). როცა კლასი უკუკავშირის კითხვარს ავსებდა, პრეზენტატორი იმუშაობდა თვითშეფასების კითხვარზე (რა იცოდა პრეზენტაციის მომზადებამდე განსახილველ პერსონაჟზე? რა გაიგო ახალი და მნიშვნელოვანი? რა გამოუვიდა კარგად და რას გამოასწორებდა?).

თამამად ვიტყვი, რომ გავნიეთ კოლოსალური შრომა – სამი თვის განმავლობაში, გაკვეთილების შემდეგ, წინასწარ შედგენილი გრაფიკით, მოსწავლეები ატარებდნენ პრეზენტაციებს, მასწავლებლები კი აფასებდნენ პროექტის ფარგლებში შექმნილ ესეებს, პრეზენტაციებს; ეცნობოდნენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების კითხვარებს, მონეველი სტუმრების გამოხმაურებებს. მართალია, ყველა პრეზენტაციამ მოლოდინი ვერ გაამართლა, იყო ჩავარდნებიც, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარი პროექტების (წელიწადში თუნდაც ერთის) განხორციელება, სხვადასხვა თემატიკით, ძალიან დაენმარება ჩვენს მოსწავლეებს ცნობიერებისა და ეროვნული გაღრმავებაში.

ნიმე უბილაპა რუსთავის №26 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ინფორმაცია

მშვიდობა უდრის მომავალს



აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა, ინტელიგენცია, მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია, კავკასიის ახალგაზრდობის ალიანსი, 21 სექტემბერს, ტრადიციულად, თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა მშვიდობის დღისადმი მიძღვნილ საყოველთაო მანიფესტაციაზე - „მშვიდობა უდრის მომავალს“.

„მშვიდობა, ახალგაზრდობა და განვითარება“ - ეს სამი რამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭიროა კაცობრიობის არსებობისათვის. ეს დღე, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1981 წელს დანესდა. პირველად 1982 წლის სექტემბერში აღინიშნა. 2001 წლიდან 21 სექტემბერი გენერალურმა ასამბლეამ ძალადობისა და ცეცხლის შეწყვეტის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა, რომელსაც მსოფლიოში ყოველწლიურად აღნიშნავენ.

2014 წლის 21 სექტემბრის სამშვიდობო აქციის ორგანიზატორები იყვნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, კინოცენტრი „აფხაზეთი“, ამავე სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი „მომავლის ხმა“, კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი, აფხაზეთის ახალგაზრდული მთავრობა, აფხაზეთის ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო. მხარდამჭერები კი - ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

ლონისძიება თავისუფლების მოედნიდან ფეხით მსვლელობით დაიწყო, მშვიდობის ხიდის გავლით, რიყის პარკამდე, სადაც ჩატარდა კონკურსი ასფალტზე ხატვაში - „იყოს მშვიდობა“. საყოველთაო მონაწილეობა დაიმსახურა მარიამ და გიორგი ჩხაიძეების, ვანო შონიას, სალომე საგინაშვილის, რეზო და თაკო გაფრინდაშვილების, ვერიკო გურგულიას და სხვათა ნახატებმა.

გიორგი ჩხაიძე: „მესამე წელია გმონაწილეობთ სამშვიდობო მანიფესტაციაში. დავხატე მზე და მისკენ განვდელი სხვადასხვა ფერის ხელები. მინდა, მთელ მსოფლიოში იყოს მშვიდობა და ჩემი თანატოლები ბედნიერად ცხოვრობდნენ“.

ხატვის კონკურსის დასრულების შემდეგ აქციის მონაწილეებმა რიყის პარკის ამფითეატრში, გადაინაცვლეს, სადაც საყოველთაო მშვიდობისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების შემოქმედებითი კოლექტივები, აფხაზეთის შე-

მოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები, ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი №1“ აღსაზრდელები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამეჯლისო ანსამბლი „გაზაფხული“ (ხელმძღვანელი - რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ირინა მიროტაძე), ინდივიდუალური შემსრულებლები.

სალომე საგინაშვილი: „დღეს განსაკუთრებული სიყვარულით შევასრულე გია მაჭარაშვილის სიმღერა „ყვავილების ნიშა“. მსურს მშვიდობა იყოს დედამიწაზე და მალე დავბრუნდე ჩემს მშობლიურ აფხაზეთში“.

აქციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვჟემალ გამახარიაშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რაისა ქარაიამ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვახტანგ ასანიძემ, კავკასიის ახალგაზრდული ალიანსის წევრმა ხათო შონიამ. გამომსვლელებმა ისაუბრეს მშვიდობის როლსა და მნიშვნელობაზე, მომავალი თაობების ბრძოლაზე მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის, სიკეთეზე, სიყვარულზე, პატივისცემასა და მეგობრობაზე.

ლონისძიების წამყვანმა სოფო ქვარცხავამ შეკრებილებს გააცნო ქართველი ახალგაზრდების მიმართვის ტექსტი მსოფლიოს ახალგაზრდებისადმი.

ნორჩმა მომღერლებმა - თამარ საბაურამა, ქრისტი და მარი შაშიაშვილებმა - აქციის მონაწილეებთან ერთად, მშვიდობის მსოფლიო ჰიმნი შეასრულეს და ცაში აუშვეს ფე-



რადი ბუშტები სამშვიდობო სურვილებითა და ანთებული ფარნებით.

უარი ვუთხრათ ომს, ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, სიყვარულისთვის, სიკეთისთვის, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ დედამიწას, ვაშენოთ ერთი სახლი, რომელსაც სამყარო ჰქვია. ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის - ამ მშვენიე-

რი, გულშიჩამწვდომი და იმედინაი მონოდებით დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ფორუმი.

იზონარა ბარანი პრექტის ავტორი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ კინოცენტრ „აფხაზეთის“ მთავარი სპეციალისტი

აქცენტი პრევენსიაზე და არა რეპრესიაზე

უნეებთაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, 18 სექტემბერს, დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმ ბავშვების სოციალიზაციას, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის წინაშე არიან. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა, სადამსჯელო ზომების ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს განათლებაზე და ოჯახის მხარდაჭერაზე. სამოქმედო გეგმის შემუშავებას საფუძველი ჩაეყარა შეხვედრაზე, რომელიც სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა.

გეგმის მიზანია, განისაზღვროს სხვადასხვა სახელმწიფო მხარის პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელებაში, რომელიც ორი წლის წინ გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) დახმარებით მომზადდა. ორ წელზე

გათვლილი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავება წლის ბოლომდე დაგეგმილი. გეგმის განხორციელება 2015 წელს დაიწყება.

„მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სფეროში საქართველოში - აღინიშნა იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრამაშინამ, - ქვეყანაში ფუნქციონირებს განრიდების პროგრამა იმ არასრულწლოვანებისთვის, ვინც პირველად ჩადის დანაშაულს. პროგრამის შედეგად 600-ზე მეტი მოზარდი განერიდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საგრძნობლად შემცირდა სასჯელმისჯილი ბავშვების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, არის ხარვეზები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს იმისთვის, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს. პირველ რიგში, აუცილებელია არასრულწ-

ლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება. კოდექსის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და განმეორებითი დანაშაულის პრევენცია. კოდექსი პარლამენტს უნდა წარედგინოს ნოემბერში და იმედი გვაქვს, 2014 წლის ბოლომდე დამტკიცდება“.

„იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი კოორდინაციის უწყვეტ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის იმ საქმიანობას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან თემას - არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას - ეხება. იუნისეფთან ერთად, ჩვენ უკვე ვმუშაობთ და დღეს გვაქვს გაერთიანებული შეხვედრა იმისთვის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა შევიმუშაოთ სამოქმედო გეგმა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სფეროში. იმისთვის, რომ ის პრევენციული ღონისძიებები, რაც ყველა სამინისტროს მიერ



სფეროების მიხედვით ტარდება, ერთ დოკუმენტში მოექცეს, გახდეს უფრო ეფექტიანი და ჩვენ, სახელმწიფომ, შევძლოთ, უკეთ ვიზრუნოთ იმ არასრულწლოვანებზე, ვისაც შეიძლება ჰქონდეს კანონთან კონფლიქტი. ალგეკეთით ეს, ვიდრე ისინი დანაშაულს ჩადენენ და აქცენტი გავაკეთოთ პრევენციაზე და არა რეპრესიაზე“ - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის, ჯონი კვინიკაძის განცხადებით, სახელმწიფოში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კოორდინირება დავალბული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ხოლო იუნისეფისა და საქართველოს მთავრობის შეთანხმებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შექმნის კოორდინირებას დანაშაულის პრევენციის ცენტრი გაუწევს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ პრევენციის პროგრამები აქცენტს აკე-

თებს არა სადამსჯელო ღონისძიებაზე, არამედ ხელს უწყობს და ეხმარება მოზარდის ინდივიდუალურ განვითარებას - ხელს უწყობს ბავშვების წარმატებულ სოციალიზაციას და ინტეგრაციას ოჯახის, თემის, თანატოლების, სკოლისა და შრომის საშუალებით, ეხმარება მათ, განსაკუთრებით კი - სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

პრევენცია გულისხმობს განათლების, ოჯახის მხარდაჭერის და დასაქმების პროგრამებს, უწყებათაშორის თანამშრომლობას კანონთან კონფლიქტის რისკის წინაშე მყოფი ბავშვების გამოსავლენად და დასახმარებლად, აგრეთვე, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს შორის და სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პარტნიორობას.

მომზადდა ლალი ჯილაძემ



ინფორმაცია

# მაღალი ენერგოდამაჩქარებლის კვლევით ორგანიზაცია KEK-ისთან (იაპონია) თანამშრომლობა იწყება

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან იაპონიის ოსაკას უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **იოშიტაკა კუნო** და იაპონიის მაღალი ენერგოდამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაციის (KEK) წარმომადგენლები. იაპონელ სტუმრებთან სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, მინისტრის მოადგილემ **გიორგი შარვაშიძემ** და „განათლების საერთაშორისო ცენტრის (საქართველო)“ პროგრამის წარმომადგენლებმა გამართეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ განათლების საერთაშორისო ცენტრსა (საქართველო) და მაღალი ენერგოდამაჩქარებლის კვლევით ორგანიზაცია KEK-ს (იაპონია) შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მომავალი თანამშრომლობა მაღალი ენერგიის ფიზიკისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების სფეროში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებთან იქნება დაკავშირებული.

დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ, იაპონიის მაღალი ენერგოდამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია KEK, როგორც სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაცია, უზრუნველყოფს ქართველი სტუდენტებისთვის სასწავლებლად მიწვევას და რეალურ ექსპერიმენტებში მონაწილეობას.

KEK-ის პროექტებში ჩართვით, საქართველოს და KEK-ის თანამშრომლების ზედამხედველობით, ქართული მხარე მხოლოდ სტუდენტების მზავრობის ხარჯებს დაფარავს, სხვა ხარჯები (ცხოვრება, სწავლა, პრაქტიკა, კვლევა) კი დაფინანსებული იქნება იაპონური მხარის მიერ.

მანამდე კი, დაზუსტდება დეტალები და შეიქმნება წინაპირობა ხელმოწერისთვის.

## ქართველი მეცნიერები სართაშორისო პროექტებში ჩართვებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების დირექტორატის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს შესაძლო ასოცირებული განვითარება პროგრამაში „ჰორიზონტ 2020“. პროექტი 2014 წლის იანვრიდან ამოქმედდა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე**, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების დირექტორატის წარმომადგენელი **ტიერი დეგრასი** და კვლევითი საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში **ოლივერ რაისერი** მონაწილეობდნენ, აქტიურად განიხილებოდა პროგრამაში „ჰორიზონტ 2020“-ში საქართველოს ასოცირებული განვითარების საკითხი. ამ ეტაპზე, ორ ქვეყანას, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი, აქვს 2020-ის ასოცირებული სტატუსი. ეს ქვეყნებია მოლდოვა და ისრაელი. ვიმედოვნებთ, საქართველო იქნება მესამე ქვეყანა, რომელიც შეუერთდება ამ პროცესს.

სამინისტროში გამართული შეხვედრის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა გზა უნდა გაიაროს საქართველო ამ ურთიერთობის ფორმულირებისთვის. ამ ეტაპების გავლის შემდეგ, უკვე 2015 წლიდან, საქართველოს საშუალება ექნება, პროგრამის სრულყოფილი მონაწილე ქვეყანა გახდეს. შედეგად კი, ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერს ექნება წვდომა იმ პროგრამებსა და მნიშვნელოვან კვლევებზე, რომელიც „ჰორიზონტ 2020“-ის ფარგლებში დაფინანსდება.

## 2013-2014 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები 1000-ზე მეტ სკოლაში განხორციელდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** თბილისის 126-ე საჯარო სკოლას ეწვია და, სამინისტროს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გან-

ვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, პირადად გაეცნო სკოლაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ზაფხულის განმავლობაში 126-ე საჯარო სკოლაში გარემონტდა და მოეწყო 30 საკლასო ოთახი, შეკეთდა სახურავი და გაკეთდა სარინელები, უახლოეს მომავალში ამოქმედდება ექიმის კაბინეტიც. სკოლაში 1000-მდე მოსწავლეა, ცალკე ფლიგელშია განთავსებული პირველკლასელები საკლასო ოთახები. 2014 წელს ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, ოთხი სართულიდან სამი სართული გარემონტებულია, მეოთხე სართულის სარემონტო სამუშაოები სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყება.

ამ ეტაპზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქართველოს მასშტაბით, 1000-ზე მეტ სკოლაში ჩატარებული, აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლა, 2014 წლის ბოლომდე ხუთი ახალი სკოლა ამოქმედდება, ხოლო 2015 წლის დასაწყისში ორი ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდება. 2014 წელს 1500-ზე მეტი სკოლა აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, მოხდა 44 საჯარო სკოლის გაზიფიცირება და 34 სკოლაში ახალი გათბობის სისტემა დამონტაჟდა.

მინისტრის განცხადებით, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მომავალშიც უწყვეტ რეჟიმში განხორციელდება, ვინაიდან სასკოლო ინფრასტრუქტურის მკვეთრად გაუმჯობესება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება. ამ მიმართულებით სამუშაოები გეგმაზომიერად, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაყრდნობით გრძელდება – წელს დაიწყება მ ახალი სკოლის მშენებლობა და მომავალი სასწავლო წლისთვის, პრიორიტეტების გათვალისწინებით, ასობით სკოლა გარემონტდება.

## „ჯეოტურანისა“ და პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ ერთობლივი პროექტის პრაქტიკის პრაქტიკის პრაქტიკისა

საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ წყლის საერთაშორისო გამოფენა – „AQUA THERM TBILISI 2014“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო უახლესი და ინოვაციური ნანოტექნოლოგიები, წყლისა და გაზის რესურსების მართვის მიმართულებით. გამოფენის ორგანიზატორი იყო კომპანია „ჯეოტურანი“. აქვე მოეწყო ახალი პროექტის „ევრო-მასტერის“ წარდგენა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** გაეცნო.

„ევრო-მასტერი“ – კომპანია „ჯეოტურანისა“ და საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ ერთობლივი პროექტი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას კოლეჯში, სტუდენტების სერტიფიცირებას, დატრენინგებას, გადამზადებას და მათ დასაქმებას „ევრო-მასტერში“, სადაც კურსდამთავრებულები ინოვაციური აღჭურვილობის გამოყენებით, მარტივად და პროდუქტიულად გახდებიან სერვისულ მომსახურებას. „ჯეოტურანი“, 2013 წლიდან, აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯთან „სპექტრი“ და ჩართულია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პროცესში. პროექტი „ევრო-მასტერი“ კარგი მაგალითია კერძო და სახელმწიფო სექტორის პარტნიორული თანამშრომლობის.

გამოფენაზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გაიმართა წარმოდგენილი იყო „ჯეოტურანის“ პარტნიორი ევროპული კომპანიების პროდუქტებიც და ყველა ის ტექნოლოგიები და უახლესი ლაბორატორიები, რომელთა პრაქტიკაში დამკვედრება და ექსპლუატაციაში შესვლა უპრეცედენტოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის ხარისხიანი მშენებლობის საქმეში.

## ქართული ენის ინტერნაციონალური საზაფხულო სკოლა დასრულდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „საზაფხულო სკოლების პროგრამის“ ფარგლებში, წელს პირველად, ახორციელებს პროექტს „ქართული ენის ინტერნაციონალური საზაფხულო სკოლა საქართველოში“.

საზაფხულო სკოლა დაბა ბაკურიანში 2 ნაკადად გაიმართა და მასში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსის – „ქართული ენა ჩემი წარმატებისთვის“ გამარჯვებული მოსწავლეები და მათი მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

საზაფხულო სკოლის პირველ ნაკადში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მასწავლებლები. სწორედ ამ პედაგოგთა აღსაზრდელებმა მოიპოვეს გამარჯვება ესეების კონკურსში „ქართული ენა ჩემი წარმატებისთვის“.

საზაფხულო სკოლის მეორე ნაკადის მონაწილეები იყვნენ კონკურსის „ქართული ენა ჩემი წარმატებისთვის“ საფუძ-



ველზე შერჩეული მე-9, მე-10 და მე-11 კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 40 ქართველი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე. საზაფხულო სკოლის შემაჯამებელ ღონისძიებებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** დაესწრო.

**პროექტის „ქართული ენის ინტერნაციონალური საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მიზანი იყო:**

– ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

– არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საზაფხულო სკოლამ მონაწილეებს მრავალფეროვანი შემეცნებითი და გასართობი პროგრამა შესთავაზა. სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართული იყვნენ როგორც აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მოსწავლეები და მასწავლებლები, ისე მათი ქართველი თანაკლასელები და კოლეგები. საზაფხულო სკოლაში ხორციელდებოდა როგორც ქართული ენის ინტერაქტიული აკადემიური პროგრამები, ისე არაკადემიური გასართობი და სპორტული აქტივობები. დასკვნით ღონისძიებაზე მინისტრმა მეორე ნაკადის მონაწილე მოსწავლეებს სერტიფიკატები გადასცა, აქვე დასაჩუქრდნენ სხვადასხვა შიდა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეებიც.

## სამინისტროში საზოგადოებრივი უფლებების დაცვის განხორციელება

მიმდინარე წელს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნის საიუბილეო თარიღი აღინიშნება. იუბილესთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა ღონისძიება, რომელიც საქართველოში ებრაული ენის კათედრის დამაარსებლის, ცნობილი სემიტოლოგის, ქართული ჰუმანიტარული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ხსოვნას მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში, მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** საქართველოში ებრაული ენის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პროფესორ-მასწავლებლები დააჯილდოვა და საპატიო დიპლომები გადასცა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო აკადემიკოს კოტე წერეთლის, როგორც საქართველოში ებრაული ენის კათედრის დამაარსებლის, მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. ებრაული ენის საუნივერსიტეტო სწავლება საქართველოში კოტე წერეთელმა, ჯერ კიდევ 1944 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს, რაც შეეხება აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ სკოლას, იგი ერთ-ერთი ძლიერი სკოლაა მსოფლიოში.

საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ: ისრაელის საგანგებო და სრულყოფილი ელჩი საქართველოში **იუვალ ფუქსი**, საქართველოში მცხოვრები ებრაული თემის წარმომადგენლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.





მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოტ ტესტების ქრებულეხ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I - ქველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა

- ◆ ქრებულეხში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიადვილებათ საბროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვართ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი გასკუთვნილია აბიტურიენტების, სავარო მოსწლეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეჭველეების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური კლასატები დაწყებითი კლასებისთვის ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიბინის ნივთები
10. სოფახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
ერთი ცალის ფასი 2.50 ლარი

თემატური კლასატები მაღალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საძარტველოში
6. საძარტველო მცენარეები
7. სამხარის წარმოშობა
8. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინებები
12. ძიშიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მწერის შინაარსება და საბრძოლო ტაქტიკა
14. მსოფლიოს შვიდი სოცრება
ერთი ცალის ფასი 3 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსტა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყამტა თაყვანისცემა - დოგენიკო გირლანდაიო
3. ადელ ზლოს-გაუარის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. სბანელა - რობიუსტ რენუარი
9. სპკვირამ გამაინება ბრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ქართული მწერლები

- 1. ვაჟა-ფშაველა (10-ტოგეული) I-VI ტომი, - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტოგეული) II, III, IV, V, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუბა (7-ტოგეული) I-II ტომი - 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტოგეული) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტოგეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტოგეული) I, II, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ ქეღიძე (9-ტოგეული) I-VII ტომი - 12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტოგეული) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტიან იოსელიანი (10-ტოგეული) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ ქილაძე (6-ტოგეული) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტოგეული) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალტა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პალო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გენიძი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჯული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

# ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმონერა

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტი **ახალი**
- მიგელ დელიბასი - ორი რომანი **ახალი**
- აჰმედ ჰ. ტანვინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიონო - ჰუსარი სახურავა
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბათინი - ღამიური ბართოლანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - ჰარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმა ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოლერ დე ლაკლო - სასიყვართო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმანლოზა გულისა
- მარგარიტ დიუბასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კინოტის დაბრუნება
- სტენდალი - წითელი და შავი
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყვნილოზა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




## რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯინები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამშური
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმონერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის **ფასი - 4 ლარი**



თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი **ფასი - 10 ლარი**



თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) **ფასი - 10 ლარი**

## ქიმია

საატმოსფერო-საგამოსდლო საკითხები და ტესტები **ლ. თევზაძე** **ფასი - 3 ლარი**

## ქიმია

საატმოსფერო გამოსდინის **ლ. მეტრეველი** **ფასი - 6 ლარი**

## ბიოლოგია

საატმოსფერო გამოსდინის **ლ. ბურღილაძე, დ. ბარამიძე, ე. მალრაძე, ნ. სინარულიძე, მ. ბაგალიშვილი** **ფასი - 4 ლარი**

## გეობრაფია

საატმოსფერო გამოსდინის **ბ. ჭანტური, მ. ბლიაძე** **ფასი - 6 ლარი**

## ისტორია

საატმოსფერო გამოსდინის **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია** **ფასი - 6 ლარი**

## ისტორია

ეროვნული გამოსდინის **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია** **ფასი - 9 ლარი**

## მათემატიკა

სნობარი აზიტურიანტეზისა და სკოლის მოსწავლეთათვის **ა. წერეთელი** **ფასი - 5 ლარი**

## ფიზიკა

საატმოსფერო გამოსდინის **ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია** **ფასი - 6 ლარი**

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტიტულაშვილის ქ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073  
www.axaliganatleba.ge  
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22, რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >